



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 18

2020 წელი 30 ივლისი

ქ.ბათუმი


ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქ. ბათუმში, დასახლება მახვილაურში მდებარე მიწის ნაკვეთების სერვიტუტით დატვირთვით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას მოახდინოს ქ. ბათუმში, დასახლება მახვილაურში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილის, კერძოდ 1349 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.35.22.328) 17 კვ.მ ფართის, 4135 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.35.22.327) 40 კვ.მ ფართის და 4593 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.35.22.329) 17 კვ.მ ფართის სერვიტუტით დატვირთვა მოქალაქე ლერი მეხეშიძის (პ/ნ 61009029044) სასარგებლოდ, ორი წლის ვადით, წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

6



ნადიმ ვარშანიძე